



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სოციალური მომსახურების სააგენტო
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030456500895220

№ 04-262/თ

19 / მაისი / 2020 წ.

„ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ სააგენტოს დირექტორის 2020 წლის 22 იანვრის N04-34/თ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„2020 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 დეკემბრის N674 დადგენილებით დამტკიცებული „ახალი კორონავირუსული დაავადების COVID 19-ის მართვის“ პროგრამის (დანართის N20) მე-3 მუხლის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურების მიმწოდებლის მხრიდან დადგენილი წესით წარმოსადგენი საანგარიშგებო ფორმების დამტკიცების მიზნით, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2020 წლის 15 მაისის N01/5194 (N04/10540; 13.05.2020 წ.) წერილის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2018 წლის 3 ოქტომბრის N01-14/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების“ მე-4 მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. „2020 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ სააგენტოს დირექტორის 2020 წლის 22 იანვრის N04-34/თ ბრძანებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანების პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით დამტკიცებულ ანგარიშგების ფორმებს დაემატოს „ახალი კორონავირუსული დაავადების COVID 19-ის მართვის“ პროგრამის (დანართის N20) მე-3 მუხლის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურების მიმწოდებლის მხრიდან, სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოში წარმოსადგენი, წინამდებარე ბრძანებაზე თანდართული საანგარიშგებო ფორმა (დანართი N35).
2. ამ ბრძანებით დამტკიცებული N35 ფორმით ანგარიშგება მიმწოდებლების მხრიდან განხორციელდეს 2020 წლის 1 მარტიდან განუვლ მომსახურებაზე.
3. სააგენტოს დირექტორის აპარატმა (ნ. ჩანადირი), უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანებისა და მისი დანართის განთავსება სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე – www.ssa.gov.ge.
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

გიორგი ნონკოლაური